თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №30

08 თებერვალი 2018 წ.
ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №10 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №10 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 20/12/2017, 270070000.35.163.016362).

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საკრებულოს წევრისათვის (გარდა თანამდებობის პირებისა) ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი განისაზღვროს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარის ოდენობით“.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე